ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 32

23.07.2019
12:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 23 ივლისს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ზაზა ცინაძე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული და საინვესტიციო პროექტების სამსახურის უფროსი ნინო კვეტენაძე და საჭადრაკო კლუბ ,,ოლიმპიური ჩემპიონის'' დამფუძნებელი მაია ლომინეიშვილი, ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომა წარიმართა: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, სატრანსპორტო საკითხთა, განათლებისა და კულტურის და სარევიზიო კომისიებთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა.

მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი:

1 საჭადრაკო კლუბ ,,ოლიმპიური ჩემპიონის'' წერილი (10.07.2019, 10/031919117-03) (მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე);

2. „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (03.07.2019, 12-031918454-03) (მომხსენებელი - ვასილ აბულაძე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე)
3. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (22.07.2019, 12-031920332-03) (მომხსენებელი - გაიოზ თალაკვაძე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი);

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ დღის წესრიგის პროექტით გათვალისწინებული საკითხის *„ქ. თბილისში, ონკოლოგიური საავადმყოფოს მიმდებარედ ლევან ასათიანის ქ. #19-ის მიმდებარედ არსებული 65599 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.14.16.009.317), ქ. თბილისში, დიღმის მასივში, III კვარტალში მდებარე 9030 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: #01.13.03.045.003), ქ. თბილისში, ბეთლემის ქ. #15-ში მდებარე ფართების (ს/კ: #01.18.03.072.064.01.500; #01.18.03.072.064.01.504, #01.18.03.072.064.01.505) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“* განხილვა, გადადებული იქნა დამატებითი შესწავლის მიზნით.

მოისმინეს:

საჭადრაკო კლუბ „ოლიმპიური ჩემპიონის“ წერილი - კომისიას წარმოუდგინა ჭადრაკის დიდოსტატმა, ამავე საჭადრაკო კლუბის პრეზიდენტმა მაია ლომინეიშვილმა.

მაია ლომინეიშვილი - კლუბი დაარსდა ჩემი და ნონა გაფრინდაშვილის ძალისხმევით ორი წლის წინ, პირველ ეტაპზე გვქონდა მხოლოდ 5 მაგიდა, 10 ჭადრაკის დაფა და 20 სკამი. ორი პროექტის დაგვიფინანსა მერიამ და ჭადრაკის ფედერაციამ, რითიც შეგვიძინეს ინვენტარი და ამით მიეცა კლუბს არსებული სახე. დღეის მდგომარეობით ბავშვების რაოდენობა 230 მოსწავლეს მიუახლოვდა და ვიმყოფებით მიზერულ თვითდაფინანსებაზე, რაც ძირითადად კლუბის იჯარას და პედაგოგების ანაზღაურებას ხმარდება, ხოლო ინვენტარის და თანამედროვე ტექნიკის შეძენას ვერ ვახერხებთ ჩვენი სახსრებით. უმთავრესი პრობლემაა კომპიუტერული ტექნიკის არქონაა, რაც არ გვაძლევს შესაძლებლობას, რომ საერთაშორისო სპარინგებში მივიღოთ მონაწილეობა უცხოელ პარტნიორებთან, კომპიუტერის გამოყენებით, აღნიშნული პრაქტიკის გარეშე კი განვითარება საკმაოდ რთულია, თანამედროვე კოხკურენციის და ტექნოლოგიური მიღწევების ეპოქაში.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

ავთანდილ ცინცაძე - რამდენი ჭადრაკის კლუბია ამჟამად თბილისში, ხომ არ შეიძლება საკლუბო ჩემპიონატების ჩატარება, ფედერაციის მხარდაჭერით, რათა უფრო განვითარდნენ კლუბები?!

გიორგი ჩაკვეტაძე - წერილის თანახმად კლუბს ესაჭიროება ხუთი კომპიუტერი, მაგრამ მერიის კულტურის, განათლების სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ქვეპროგრამებით (08.06.01) ყურ ხერხდება აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება, რადგან სპორტული ინვენტარით

დახმარებისათვის მერიის პროგრამულ კოდში არაა შესაბამისი ჩანაწერი. ერთადერთი შესაძლებლობაა, მივმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდს შუამდგომლობით, კლუბის დაფინანსებაზე.

შალვა ოგბაიძე - გლდანის ოლქში სადაც ძირითადი აქცენტი არის ჭიდაობის და რაგბის ხელშეწყობაზე, ჭადრაკი გახლავთ ყველაზე მნიშვნელოვანი წრე ინტელექტუალური სპორტის განვითარებისთვის, რომელიც ძალიან დიდ საქმეს აკეთებს და იმსახურებს შესაბამის ხელშეწყობას. ჩვენს დროში აუცილებელია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სპორტში და ამისათვის კარგი იქნება, თუ შესაბამისი ცვლილება აისახება მერიის პროგრამულ კოდში, რათა სამომავლოდ მაინც შევძლოთ მსგავსი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზაზა ცინაძე - გამომდინარე იქედან, რომ კომპიუტერი არ მიეკუთვნება სპორტულ ინფრასტრუქტურას და წელს სპორტული ინვენტარის კუთხითაც მწირი ბიუჯეტი გვქონდა, შესაბამისად ვერ მოხერხდა დაფინანსება ამ მიმართულებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კლუბს აქვს უფასო სექციები და ნამდვილად იმსახურებს სათანადო ხელშეწყობას. ვიმედოვნებთ, რომ მომავალ წელს ბიუჯეტის ფორმირებიდან გამომდინარე გვექნება მეტი შესაძლებლობა სპორტული ინვენტარით დახმარების მიმართულებით.

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ მხარი დაუჭირა საჭადრაკო კლუბ „ოლიმპიური ჩემპიონის" მოთხოვნაზე, შუამდგომლობის გაგზავნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან.

მოისმინეს:

საკრებულოს დადგენილების პროექტი *„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"* კომისიას წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ.

ვასილ აბულაძე - აღნიშნული დადგენილების პროექტი წარმოადგენს დედაქალაქში ტრანსპორტის ორგანიზების და სატრანსპორტო მოძრაობის ხელშეწყობის მექანიზმს, რის შედეგადაც დღის წესრიგში დადგა ელექტრო ველოსიპედების, მოპედებისა და მსგავსი სახის სატრანსპორტო საშუალებებისთვის პარკირების ადგილების განსაზღვრა. აღნიშნული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების ხელშეწყობის მიზნით, წარმოდგენილი პროექტის მეშვეობით, პირებს სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით გადაეცეთ კონკრეტული ადგილები. აღნიშნული ადგილების გადაცემის პროცესში ყველა კონკრეტული ლოკაცია წარმოდგენილი იქნება საკრებულოსთან შესათანხმებლად.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია მიესალმება აღნიშნულ პროექტს და მხარს უჭერს. როდესაც განისაზღვრება შესაბამისი ლოკაციები და იქნება მომართვა დაინტერესებული პირებისგან მზად ვართ მაქსიმალური მხარდაჭერა აღმოვუჩინოთ მათ და ჩავერთოთ პროცესში, რათა ქალაქში მეტი ეკოლოგიურად სუფთა და თანაც სპორტული ტრანსპორტი მოძრაობდეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, შალვა ოგბაიძე - (5), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” დადგენილების პროექტი კომისიას წარუდგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა.

გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებები განპირობებულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - „ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში“ სახსრებიდან, პროექტი ს- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვას დაქვემდებარებული ხელოვნური ტყეების გარდაქმნა ბუნებრივ ტყეებად“ განხორციელებისთვის გრანტის სახით მისაღები 159,4 ათასი ლარის ასახვის აუცილებლობასთან. ასევე, ცვლილება შედის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს და ააიპ „Rockeffeler Philanthropy advisors, Inc- ფონდს“ შორის „100 მედეგი ქალაქის ინიციატივის“ ფარგლებში გაფორმებული გრანტის ხელშეკრულებაში, რაც ითვალისწინებს 2019 წელს დამატებით 9,6 ათასი ლარის მიღებას, გრანტით გათვალისწინებულია ხელშეკრულების 12 თვით გაგრძელება, ექვსი თვე წელს და ექვსი თვე შემდეგ წელს. აღნიშნული თანხით კი ფინანსდება გრანტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპეციალური მრჩეველი. წარმოდგენილი ცვლილების პროექტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 169,0 ათასი ლარით და განისაზღვრება 1 075 270,8 ათასი ლარით.

ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მოძიებული ეკონომიების გათვალისწინებით პროექტით გათვალისწინებული გადანაწილება გახლავთ 13 091,9 ათასი ლარი შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება შემდეგი პროგრამის/ქვეპროგრამის ასიგნებები: გზების მოვლა-შეკეთება გლდანის რაიონში (კოდი 01 01 08) – 1 710,5 ათასი ლარით; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 262,0 ათასი ლარით; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) – 4 556,2 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 400,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 195,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 02 09 16) – 535,0 ათასი ლარით; კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 685,4 ათასი ლარით; ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) – 700,0 ათასი ლარით; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა დიდუბის რაიონში (კოდი 05 01 10) – 346,8 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა მთაწმინდის

რაიონში (კოდი 05 01 17) – 210,0 ათასი ლარი; სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 15,0 ათასი ლარით; სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა (კოდი 07 05 03) – 100,0 ათასი ლარით; მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) – 31,4 ათასი ლარით; კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა (კოდი 08 05) – 650,0 ათასი ლარით; სპორტული ღონისძიებები (კოდი 08 06 01) – 500,0 ათასი ლარით; ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 100,0 ათასი ლარით; ინკლუზიური განათლებისა და ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 13) – 50,0 ათასი ლარით; ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) – 130,0 ათასი ლარით; მერიის ადმინისტრაციის ასიგნებები (კოდი 10 02) – 659,6 ათასი ლარით; სარეზერვო ფონდი (კოდი 10 26) – 1 000,0 ათასი ლარით; გარდა ამისა, ბიუჯეტში ემატება ახალი პროგრამა თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) – აღნიშნული სესხის მომსახურებისათვის წელს საჭიროა 255,0 ათასი ლარი.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია მიესალმება წარმოდგენილ ცვლილებებს, კომისიურად ვაკვირდებით პროექტების შესრულებას. მისასალმებელია მატება სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების მიმართულებით: 500,0 ათასი ლარი სპორტულ ღონისძიებებს (კოდი 08 06 01) მოსწავლეთა შორის კრივის ევროპის ჩემპიონატის, წყალბურთის ჩემპიონატის და კალათბურთში 3/3 ზე ტურნირისთვის, ასევე 150,0 ათას ლარი ემატება დაჯილდოებების კუთხით მაღალი მიღწევების მქონე წარმატებული სპორტსმენებისთვის. 100,0 ათასი ლარი, კი ემატება ახალგაზრდულ ღონისძიებების ხელშეწყობას (კოდი 08 08 01). აღსანიშნავია, რომ ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც დაიგეგმა და ჩადებულია ბიუჯეტში აქტიურად გრძელდება და მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები. 2019 წლის გეგმა-გრაფიკის გათვალისწინებით მცირდება პროგრამა - სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) 800,0 ათასი ლარით, რაგბის სტადიონის თანხა იყო გათვალისწინებული და ფედერაციამ საქალაქო სამსახურს მიმართა, რომ წელს ფიზიკურად ვერ ახერხებენ აღნიშნული თანხის ათვისებას, ამავე მიზნით აკლდება მულტიფუნქციური ცენტრების პროექტირება-მშენებლობას 1 000,0 ათასი ლარი, 2019 წლის შესრულების გეგმა-გრაფიკიდან გამომდინარე. მნიშვნელოვანია პრიორიტეტების შენარჩუნება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ლევან ჯაფარიძე, ავთანდილ ცინცაძე, შალვა ოგბაიძე - (5), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის № 34 - 115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე